საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე

ბრძანება

1/53/24 **26-03-2024**

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატისა და წევრობის 3 კანდიდატის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარებისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატისა და წევრობის კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-10 მუხლის პირველი–მე-5 და მე-8 პუნქტების, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 211[1] მუხლის პირველი, მე-2 და მე-8 პუნქტებისა და „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 20 თებერვლის №4037-XIVმს-Xმპ რეგლამენტის მე-2 მუხლის შესაბამისად:

1. გამოცხადდეს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატისა და წევრობის 3 კანდიდატის შესარჩევი ღია კონკურსი (შემდგომ – კონკურსი).

2. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის/ წევრობის კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა საარჩევნო კომისიაში პარტიის მიერ დანიშნული წევრი, საარჩევნო სუბიექტი, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი ან რომელიმე პარტიის შემომწირველი, აქვს უმაღლესი განათლება, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, აქვს არანაკლებ 5 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

3. კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადი და სხვა შესაბამისი საკონკურსო დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს 2024 წლის 9 აპრილის ჩათვლით, წერილობით შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, შოთა რუსთაველის გამზირი №8 ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: contact@parliament.ge, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატისა და წევრობის კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისიის სახელზე.

4. კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადში მითითებული უნდა იყოს: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის/წევრობის კანდიდატის სახელი და გვარი, უმაღლესი განათლება, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი. განაცხადს ხელს უნდა აწერდეს კანდიდატი და მას უნდა ერთოდეს:

ა) კანდიდატის 2 ფოტოსურათი;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) არანაკლებ 5 წლის შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ასლი;

ვ) კანდიდატის ბიოგრაფია და CV;

ზ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;

თ) არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების (თუ კანდიდატს აქვს ასეთი გამოცდილება) აღწერა;

ი) ხელწერილი, რომლითაც საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის/წევრობის კანდიდატი ადასტურებს მისი კანდიდატურის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-10 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას (დანართი №1, დანართი №2);

კ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის/ წევრობის კანდიდატის წერილობითი თანხმობა (დანართი №3, დანართი №4).

5. შეიქმნას საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატისა და წევრობის კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისია (შემდგომ – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ტატიანა ხოხიაშვილი – ა(ა)იპ „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსათვის“ თავმჯდომარე;

ბ) ზაურ ხალილოვი – ა(ა)იპ „სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი;

გ) მერი კაპანაძე – ა(ა)იპ „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრის“ გამგეობის თავმჯდომარე;

დ) ნინო ჩხობაძე – ა(ა)იპ „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები – საქართველოს“ თავმჯდომარე;

ე) ლია ახალაძე – სსიპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ვ) ზვიად გაბისონია – შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი;

ზ) რევაზ კლდიაშვილი – სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“ ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი;

თ) შალვა ქურდაძე – ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის პროფესორი;

ი) ლევან შენგელია – მკვლევარი, ანთროპოლოგი, მეოთხე მოწვევის პარლამენტის წევრი, კომისიაში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი.

6. კომისიამ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად უზრუნველყოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატისა და წევრობის კანდიდატების შერჩევა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისთვის წარდგენა.

7. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2024 წლის 26 მარტს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

პარლამენტის თავმჯდომარე
შალვა პაპუაშვილი